186
1937/2
F 133
1937

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1937 წ. მაისის 7. № 10 ტფილისი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება.

62. სსრ კავშირის მთავრობასთან საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობის მოწყობისა და ამ წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ მუდმივ წარმომადგენლობაზე სსრ კავშირის მთავრობასთან.

საადმინისტრაციო დაყოფა.

63. „რაიონების კატეგორიებად განაწილების თაობაზე" გამოცემულ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

64. ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე წამოწყებათა და ორგანიზაციათა წლიური ს ბუჰალტერო ანგარიშებისა და ბალანსების დამტკიცების წესის შესახებ.

65. საქართველოს სსრ წამოწყებებისა და ორგანიზაციების დასკვნითი ბალანსებისა და მოგების და ზარალის ანგარიშების გამოქვეყნების წესის შესახებ.

მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა.

66. 1937 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის შესახებ.

ვეტერინარია.

67. საქართველოს სსრ სავეტერინარო წესდების გაუქმების შესახებ.

ფინანსები.

68. იმ პირთა გამოსაღების გაუქმების შესახებ, ვისაც უფლება არა აქვს შეასრულოს სასოფლო აღმასრულებლის მოვალეობა.

განათლება.

69. გლეხის სახლთა დებულების დამტკიცების შესახებ

დებულება გლეხის სახლთა შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

70. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება

62. დადგენილება ს.კ.ს.

სსრ კავშირის მთავრობასთან საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობის მოწყობისა და ამ წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ.

„სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების წარმომადგენელთა შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 4-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. მე-8 №-ი, მუხ. 95), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობა სსრ კავშირის მთავრობასთან.

2. დამტკიცებულ იქნას ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ მუდმივ წარმომადგენლობაზე სსრ კავშირის მთავრობასთან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის თ. ა. **ს. მებუკე.**

1937 წ. აპრილის 4. № 338.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუდმივ წარმომადგენლობაზე სსრ კავშირის მთავრობასთან.

1. სსრ კავშირის მთავრობასთან საქართველოს სსრ მთავრობის მუდმივი კავშირისა და სსრ კავშირის ორგანოების წინაშე საქართველოს სსრ ინტერესების წარმომადგენლობის განხორციელებისათვის—სსრ კავშირის მთავრობასთან, თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 4-ის დადგენილებისა „სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების წარმომადგენელთა შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 95) არსებობს საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობა.

2. მუდმივი წარმომადგენლობის გამგებლობას ეკუთვნის:

ა) საქართველოს სსრ მთავრობის მიერ აღძრული საკითხების გატარება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში, შრომისა და თავდაცვის საბჭოში და მთავრობის სხვა ორგანოებში;

ბ) საქართველოს სსრ ინტერესების წარმომადგენლობა იმ საკითხებში, რომლებიც მიკუთვნებულია სსრ კავშირის საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების გამგებლობისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სათანადო ახსნა-განმარტებების მიცემა სსრ კავშირის საკანონმდებლო ორგანოებში;

დ) საქართველოს სსრ მთავრობისათვის სისტემატურად ცნობების მიწოდება სსრ კავშირის ორგანოების მოქმედებაზე იმ საკითხების გამო, რომლებიც უშუალოდ ეხება საქართველოს სსრ-ს, და აგრეთვე სსრ კავშირის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგის მდგომარეობის შესახებ იმავე შემთხვევებში;

ე) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთვის, ხოლო სათანადო შემთხვევაში აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და დაინტერესებული უწყებებისათვის სსრ კავშირის მთავრობის იმ ღონისძიებათა პროექტების შეტყობინება, რომელთა შესახებ საჭიროა მოკავშირე რესპუბლიკების აზრის გამოთქმა, და აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კომისარიატების იმ ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებისა, რომლებიც შეთანხმებულ უნდა იქნა მოკავშირე რესპუბლიკებთან;

ვ) სსრ კავშირის მთავრობისათვის, მისი მოთხოვნისამებრ, ცნობების მოწოდება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის საკანონმდებლო და მთავრობის აქტების გატარების შესახებ და საქართველოს სსრ მთავრობის ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში;

ზ) ურთიერთი მიმართვა სსრ კავშირის მთავრობის ორგანოებთან და სსრ კავშირის მთავრობასთან არსებულ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლობებთან ურთიერთი ინფორმაციის მიზნით იმ საკითხებზე, რომლებისათვისაც საჭიროა შეთანხმებული მოქმედება;

თ) საქართველოს სსრ იმ წარმომადგენლობათა, განყოფილებათა და სხვა ორგანიზაციათა საქმიანობის მეთვალყურეობა, რომელნიც ქ. მოსკოვში მოქმედობენ;

ი) საქართველოს სსრ მთავრობის ორგანოების მიერ ქ. მოსკოვში ამა თუ იმ მინდობილობის შესასრულებლად მივლინებულ პირთა საქმიანობისათვის მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევა და საჭირო მითითებათა მიცემა;

კ) საქართველოს სსრ მთავრობის ცალკეულ მინდობილობათა ასრულება.

3. მე-2 მუხლში აღნიშნულ ამოცანათა განსახორციელებლად მუდმივ წარმომადგენლობას უფლება აქვს უშუალოდ მიმართოს ამ მუხლში აღნიშნულ ყველა ორგანოს და ამისათვის საჭირო არ არის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული უფლებამოსილება.

4. თავისი მოქმედების დროს მუდმივი წარმომადგენლობა ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მთავრობის დირექტივებით.

უახლოეს ხელმძღვანელობას მუდმივი წარმომადგენლობის მოქმედებას უწევს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

5. მუდმივი წარმომადგენლობის სათავეში დგას საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენელი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

საქართველოს სსრ მუდმივ წარმომადგენელთან იმყოფება მისი მოადგილე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

6. საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მთავრობასთან წარმართავს მუდმივი წარმომადგენლობის მთელ საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობისათვის საქართველოს სსრ მთავრობის წინაშე.

7. საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენელი მონაწილეობას იღებს სათათბირო ხმის უფლებით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომებში.

8. მუდმივ წარმომადგენლობას ჰყავს აპარატი, რომლის შტატსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

მუდმივი წარმომადგენლობის მოსამსახურეებს ნიშნავს და ითხოვს მუდმივი წარმომადგენელი.

9. მუდმივი წარმომადგენლობის შესანახი ხარჯი გატარებულ უნდა იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხარჯთაღრიცხვაში.

მუდმივ წარმომადგენელს აქვს კრედიტების პირველი ხარისხის განმკარგულებლის უფლებანი.

10. რათა მუდმივმა წარმომადგენლობამ ყოველთვის და სრულად იცოდეს საქართველოს სსრ მთავრობის უმაღლესი ორგანოების საქმიანობა:

ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობა რეგულარულად უგზავნის მუდმივ წარმომადგენლობას საქართველოს სსრ ყველა კანონს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებს და განკარგულებებს და აგრეთვე სსრ კავშირის ორგანოებში გაგზავნილი წარდგენილებების, პროექტებისა და მიმართვების ასლებს საჭირო მასალის დართვით;

ბ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია და სახალხო კომისარიატები რეგულარულად უგზავნიან მუდმივ წარმომადგენლობას სსრ კავშირის ორგანოების მიერ განსახილველი საკითხების გასაშუქებლად საჭირო მასალას.

11. საქართველოს სსრ მთავრობის ორგანოების მიერ ქ. მოსკოვში ამა თუ იმ მინდობილობის შესასრულებლად მივლენილი პირნი მოქმედობენ სრული კონტაქტით მუდმივ წარმომადგენლობასთან, აცნობენ მას თავიანთ მუშაობას და იღებენ მისგან საჭირო მითითებებს.

12. მუდმივი წარმომადგენლობა იმყოფება მუდმივად ქ. მოსკოვში.

13. მუდმივ წარმომადგენლობას აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ ღერბის გამოსახულებით და წარწერით ქართულ და რუსულ ენაზე: „საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობა სსრ კავშირის მთავრობასთან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საადმინისტრაციო დაყოფა

63. დადგენილება ს.კ.ს.

„რაიონების კატეგორიებად განაწილების თაობაზე“ გამოცემულ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„რაიონების კატეგორიებად განაწილების შესახებ“ 1936 წ. დეკემბრის 26-ის თარიღისა და 1757 №-ის დადგენილებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. მე-2 №-ი, მუხ. 10) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. ამბროლაურის რაიონი ამოიშალოს I-ლი კატეგორიის რაიონების სიიდან (მუხ. 2) და მოთავსებულ იქნას მე-II კატეგორიის რაიონების სიაში (მუხ. 3).

2. მე-2 მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა 2. ამა მუხლში აღნიშნული ჯგუფიდან ბაშკიჩეთის, თიანეთის, ვანის, ყაზბეგის, ყარაიის, ცაგერის, წალკის, გუდაუთის, ხულოს და ჯავის რაიონებისათვის დაწესებულ იქნას შტატები I-ლი კატეგორიის რაიონებისა, ხოლო განაკვეთები მე-II კატეგორიისა“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ს. მებუკე.**

1937 წ. მარტის 21, № 291.
ტფილისი.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

64. დადგენილება ს.კ.ს

ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე წამოწყებათა და ორგანიზაციათა წლიური საბუხჰალტერო ანგარიშებისა და ბალანსების დამტკიცების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„სახელმწიფო და კოოპერატიულ სამეურნეო ორგანოთა და წამოწყებათა საბუხჰალტერო ანგარიშებისა და ბალანსების დებულების შეფარდების შესახებ“ სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1936 წ. ივლისის 29-ს დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 42, მუხ. 360) დამყარებულ იქნას ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე წამოწყებათა და ორგანი-

ზაციათა წლიური საბუხჰალტერო ანგარიშებისა და ბალანსების დამტკიცების შემდეგი წესი:

1. სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი სარაიონო და საქალაქო მრეწველობის წამოწყებებისა და კომუნალური წამოწყებების წლიურ საბუხჰალტერო ანგარიშებს და ბალანსებს ამტკიცებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარენი, ან, მათი მინდობილობით, ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა და კომუნალურ განყოფილებათა გამგენი—კუთვნილებისამებრ.

კომუნალურ განყოფილებათა წლიურ საბუხჰალტერო ანგარიშებს და ბალანსებს იმ ხარჯებისა და ოპერაციებისას, რასაც ეს განყოფილებანი უშუალოდ ახორციელებენ, და საწარმოო ფუნქციების მქონე ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა წლიურ ანგარიშებს და ბალანსებს ამტკიცებს უშუალოდ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე და ამ ანგარიშების და ბალანსების დამტკიცება არ შეიძლება მიენდოს თვით განყოფილებებს.

2. სამომხმარებლო, საბინაო-საიჯარო და საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის ადგილობრივი ორგანიზაციების წლიური საბუხჰალტერო ანგარიშებს და ბალანსებს ამტკიცებს სათანადო კოოპერაციის საქალაქო ან სარაიონო კავშირის, ან სხვა სარაიონო ცენტრის თავმჯდომარე.

3. სარეწაო, საინვალიდო და სამონადირო კოოპერაციის ადგილობრივი ორგანიზაციების წლიურ საბუხჰალტერო ანგარიშებს და ბალანსებს და აგრეთვე კოოპერაციის სარაიონო კავშირებისა თუ სხვა სარაიონო ცენტრების საკუთარ მეურნეობათა წლიურ ანგარიშებს და ბალანსებს ამტკიცებენ კოოპერაციის სათანადო რესპუბლიკური ცენტრები.

4. ადგილობრივი საფინანსო ორგანოები ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე წამოწყებათა და ორგანიზაციათა წლიური საბუჰხალტერო ანგარიშების და ბალანსების განხილვაში მონაწილეობას იღებენ იმ წესით, რაც გათვალისწინებულია „სახელმწიფო და კოოპერატიულ სამეურნეო ორგანოთა და წამოწყებათა საბუხჰალტერო ანგარიშებისა და ბალანსების დებულების“ მე-6 და 7 მუხლებით და სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1936 წ. ივლისის 29-ს დამტკიცებული ინსტრუქციის მე-5 მუხლით (სსრკ კან. კრ. 1936 წ. 42 №-ი, მუხ. 359 და 360).

5. შეუთანხმებლობას წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებზე საფინანსო ორგანოებსა და სამომხმარებლო, საბინაო-საიჯარო და საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის სარაიონო ცენტრებს (სარაიონო კავშირებს ან სხვა სათანადო ცენტრებს) შორის გადაწყვეტს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

ხოლო შეუთანხმებლობას სარეწაო, საინვალიდო და სამონადირო კოოპერაციის ადგილობრივი ორგანიზაციების წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აგრეთვე თვით სარაიონო ცენტრების წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს გადაწყვეტს სათანადო რესპუბლიკური ცენტრი საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მონაწილეობით და ადგილობრივი საფინანსო ორგანოების დასკვნათა გათვალისწინებით. უკეთუ სათანადო რესპუბლიკურ ცენტრსა და ფინანსთა სახალხო კომისარიატს შორის შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა, შეუთანხმებლობა გადასაწყვეტად გადაეცემა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

6. ჯუმლობითს წლიურ საბუხჰალტერო ანგარიშებს და ბალანსებს შეადგენენ დამტკიცებული წლიური საბუხჰალტერო ანგარიშებისა და ბალანსების საფუძველზე „სახელმწიფო და კოოპერატიულ სამეურნეო ორგანოთა და წამოწყებათა საბუხჰალტერო ანგარიშებისა და ბალანსების დებულებით“ განსაზღვრულ ვადებზე:

ა) სარაიონო და საქალაქო მრეწველობის ხაზით—ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებანი და წარუდგენენ სარაიონო მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით, კუთვნილებისამებრ: ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, ადგილობრივ საფინანსო განყოფილებას (ორ ცალად), სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ადგილობრივ განყოფილებას და დამაფინანსებელი ბანკის განყოფილებას, ხოლო ერთობილად მთელ სარაიონო და საქალაქო მრეწველობაზე—სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან საქალაქო საბჭოს და ადგილობრივ საფინანსო განყოფილებას (ორ ცალად);

ბ) კომუნალური მეურნეობის ხაზით (როგორც წამოწყებებისა, ისე კომუნალური მეურნეობის განყოფილების ხაზით)—კომუნალური მეურნეობის განყოფილებანი და წარუდგენენ: კომუნალური მეურნეობის სახალხო-კომისარიატს, ადგილობრივ საფინანსო განყოფილებას (ორ ცალად), სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ადგილობრივ განყოფილებას და კომუნალურ ბანკს;

გ) სამომხმარებლო, საბინაო-საიჯარო და საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის წამოწყებებისა და ორგანიზაციების ხაზით—სათანადო საქალაქო და სარაიონო კავშირები და წარუდგენენ სათანადო რესპუბლიკურ ცენტრს (საბინაო საიჯარო და საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის ხაზით—საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს), ადგილობრივ საფინანსო განყოფილებას (ორ ცალად), სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ადგილობრივ განყოფილებას და დამაფინანსებელი ბანკის განყოფილებას.

7. იმ რაიონებსა და ქალაქებში, სადაც ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებანი და კომუნალური მეურნეობის განყოფილებანი არ არსებობენ, ჯუმლობითს წლიურ ანგარიშებს და ბალანსებს როგორც დარგებზე, ისე ერთობილად მთელ სარაიონო მრეწველობასა და კომუნალურ მეურნეობაზე შეადგენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წარუდგენს სათანადო ორგანოებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს აპარატი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მითითებით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის თ. ა. **ს. მებუკე.**

1937 წ. აპრილის 4, № 337.

ტფილისი.

---

65. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ წამოწყებებისა და ორგანიზაციების დასკვნითი ბალანსებისა და მოგების და ზარალის ანგარიშების გამოქვეყნების წესის შესახებ.

„სახელმწიფო და კოოპერატიული სამეურნეო ორგანიზაციებისა და წამოწყებების საბუხჰალტერო ანგარიშებისა და ბალანსების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ივლისის 29-ის თარიღის და 1372 №-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. 42 №-ი, მუხ. 359), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს რესპუბლიკური ქვემდებარეობის ყველა წამოწყებას და ორგანიზაციას—გამოაქვეყნოს, არა უგვიანეს ორი დეკადის ვადისა ანგარიშების საბოლოო დამტკიცების დღიდან, თავისი 1936 წლის დასკვნითი ბალანსები და მოგების და ზარალის ანგარიშები გაზეთ „კომუნისტში“.

2. განთავისუფლებულ იქნან 1936 წლის დასკვნითი ბალანსებისა და მოგების და ზარალის ანგარიშების გამოქვეყნებისაგან ის ქვედა კოოპერატიული ორგანიზაციები და არტელები (რაიონული კოოპერატივები, რაიონული კოოპერატიული კავშირები, სასოფლო კოოპერატივები, არტელები, სარაიონო ქვემდებარეობის საბჭოთა მეურნეობები, რომლების წლიური ბრუნვაც არ აღემატება 100,0 ათას მან., ან რომლების 1936 წელს გამოშვებული პროდუქციაც უცვლელი ფასების მიხედვით 70,0 ათას მანეთზე ნაკლებია.

3. ის ქვედა კოოპერატიული ორგანიზაციები და არტელები, რომლებიც, ამა დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, მოვალენი არიან გამოაქვეყნონ თავიანთი 1936 წლის დასკვნითი ბალანსები და მოგების და ზარალის ანგარიშები, აქვეყნებენ ამ ბალანსებს და ანგარიშებს პრესის ადგილობრივ ორგანოებში.

4. ქალ. ტფილისისა და იმ რაიონების კოოპერატიული ორგანიზაციები და არტელები, სადაც პრესის ადგილობრივი ორგანოები არ არსებობს, თავიანთ დასკვნითს ბალანსებს და მოგების და ზარალის ანგარიშებს აქვეყნებენ გაზეთ „კომუნისტში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. მიენდოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარს თვალყური ადევნოს ამა დადგენილების აღსრულებას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის თ. ა. **ს. მებუკე.**

1937 წ. აპრილის 7, № 363.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 84 №-ში 1937 წ. აპრილის 12.

მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა.

სოფლის მეურნეობა.

66. დადგენილება ს.კ.ს და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

1937 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წ. მარტის 21-ის დადგენილებით განსაზღვრული გეგმა საქართველოს სსრ კოლექტიურ მეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში 1937 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციისა 3.620 ტონის რაოდენობით (სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობის ნატურასასყიდლად ჩასაბარებელი ნედლი ბამბის ჩაუთვლელად) განაწილებულ იქნას რაიონებსა და სექტორებზე:

რაიონები	კოლმეურნეობანი			ერთპირ. მეურნეობ.			სულ	
	ფართობი ჰექტარობით.	ჩაბარების ნორმა 1 ჰექტარზე (უნატურ. ასყიდლად)	კონტრაქტაციის გეგმა ტონობით.	ფართობი ჰექტარობით.	ბამბის ჩაბარების ნორმა 1 ჰექტარზე	კონტრაქტაციის გეგმა ტონობით	ფართობი ჰექტარობით	კონტრაქტაციის გეგმა ტონობით
ბორჩალოს	1751	8,9	1558	249	10,3	252	2000	1810
ყარაიის	1426	8,7	1240	74	10,0	74	1500	1314
ლუქსემბურგის	323	9,4	305	177	10,8	191	500	496
სულ საქ. სსრ-ში	**3500**	**8,9**	**3103**	**500**	**10,3**	**517**	**4000**	**3620**

2. კოლექტიურ მეურნეობებში სამანქანო-სატრაქტორო სადგურებიდან მუშაობის ნატურასასყიდლის მინიმალური გეგმა განისაზღვროს 700 ტონის რაოდენობით, აქედან:

ბორჩალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურისათვის 350 ტონა
ყარაიის „ „ „ 286 „
ლუქსემბურგის „ „ „ 64 „

3. ბორჩალოს, ყარაიის და ლუქსემბურგის რაიონების სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა,—რაიონების, კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის დამტკიცებული თესვის გეგმებისა და მოსავლიანობის დავალებების შესაბამისად,—განსაზღვრონ არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 10-ისა თვითეული კოლექტიური მეურნეობისათვის და სასოფლო საბჭოების მიხედვით ერთპიროვნული მეურნეობისათვის კონტრაქტაციით სახელმწიფოსათვის ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა.

4. კონტრაქტაციის დამთავრების ვადად დანიშნულ იქნას ა/წ. აპრილის 15.

5. 1937 წლისათვის ძალაში დატოვებულ იქნას ნედლი ბამბის კონტრაქტაციის პირობები, რაც დაწესებული იყო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით 1935 წ. მარტის 7-ის „1935 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის შესახებ“ და 1936 წ. თებერვლის 28-ისა „1936 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის შესახებ“,—სხვათა შორის, გამონაკლისის სახით, ზეთის, კოპტონისა და ბამბა-ლინტერის შეღავათიან ფასად გაცემის შესახებ,—შემდეგი ცვლილებებით:

დაწესებულ იქნას, რომ ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემია-წანამატი გაიცემა ნედლი ბამბის იმ ჯიშის სადამზადებლო ფასის ანგარიშით, რომელიც ჩაბარებულ იქნება გეგმის ზედმეტად.

6. პრემია-წანამატი თვითეული ცალკე კოლექტიური მეურნეობისათვის გამოანგარიშებულ უნდა იქნას საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით შეპირებული ბამბის თესვის გეგმის კვალობაზე.

7. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წ. მარტის 21-ის გადაწყვეტილების შესაბამისად, დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შეცვალოს საბამბე რაიონებში კოლექტიური მეურნეობების მიერ ტრაქტორისტების შრომის სასყიდლის გაცემის წესი და დააწესოს, რომ ტრაქტორისტებს მუშაობის სასყიდელს აძლევდნენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
ლ. ბერია.

1937 წ. აპრილის 11, № 377/
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ე ტ ე რ ი ნ ა რ ი ა

67. დადგენილება ც.ა.კ და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სავეტერინარო წესდების გაუქმების შესახებ.

„სსრ კავშირის სავეტერინარო წესდების დამტკიცების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ოქტომბრის 27-ის თარიღის და 78/1922 №-ის დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. 58 №-ი, მუხ. 446-ა), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 6-ის დადგენილებით დამტკიცებული, საქართველოს სსრ სავეტერინარო წესდება (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 87; 1929 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 10) გაუქმებულ იქნას.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1937 წ. აპრილის 5, № 200/134.

ტფილისი.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

68. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

იმ პირთა გამოსაღების გაუქმების შესახებ, ვისაც უფლება არა აქვს შეასრულოს სასოფლო აღმასრულებლის მოვალეობა.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. იანვრის 25-ის თარიღისა და 128 №-ის დადგენილების შესაბამისად, რომელი დადგენილებითაც გაუქმებულია იმ პირთათვის დაწესებული გამოსაღები, ვანც არ შეიძლება დაინიშნოს სასოფლო აღმასრულებლად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მე-5 მუხლი 1936 წ. აპრილის 15-ის დადგენილებისა სოფლის აღმასრულებელთა შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. მე-13 №-ი, მუხ. 77) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„5. სოფლის აღმასრულებლად არ შეიძლება დაინიშნოს ის პირი, რომელსაც აქვს ნასამართლეობა, რომელიც გადასახლებულია ან განდევნილი, აგრეთვე სამართალში ან გამოძიებაში მიცემული პირი“.

2. 1-ლი მუხლის „ვ“ პუნქტი და მე-VII კარი 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილებისა „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“—„გამოსაღები იმ პირთათვის, ვისაც უფლება არა აქვს შეასრულოს სასოფლო აღმასრულებლის მოვალეობა“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი. მუხ, 71; 1936 წ. მე-13 №-ი, მუხ. 78) გაუქმებულ იქნას.

3. გადაუხდევინებელი ნარჩენი იმ პირთა გამოსაღებისა, ვისაც უფლება არა აქვს შეასრულოს სასოფლო აღმასრულებლის მოვალეობა, მოიხსნას.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1937 წ. აპრილის 5, № 202/421.

ტფილისი.

ბ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

69. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს

გლეხის სახლთა დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნას ამასთანავე დართული დებულება გლეხის სახლთა შესახებ.

2. საქართველოს სსრ გლეხის ცენტრალური სახლის დებულება, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. აპრილის 4-ის დადგენილებით დამტკიცებული (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ., მე-2 №-ი, მუხ. 28), გაუქმებულ იქნას.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1937 წ. აპრილის 5. № 199/417.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

გლეხის სახლთა შესახებ

I. ზოგადი დებულებანი.

1. კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებისა, მათი ბოლშევიკურ მეურნეობებად, ხოლო კოლმეურნეების შეძლებულებად გადაქცევისა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, კოლმეურნეთა ფართო მასებში მუშაობის სტახანოვური მეთოდების და აგროტექნიკურ ცოდნათა შთანერგვისა, კოლექტიურ მეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა, ქალაქსა ან რაიონულ ცენტრში ჩამოსული კოლმეურნეების და გლეხის მოსახლეობის მშრომელი ფენების პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებისათვის ხელშესაწყობად—სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ეწყობა საქართველოს სსრ ცენტრალური გლეხის სახლი, ხოლო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო საბჭოებთან—სარაიონო და საქალაქო გლეხის სახლები.

2. გლეხის სახლთ აქვთ იურიდიული პირის უფლებანი მათთვის დაკისრებულ ამოცანათა ფარგლებში.

3. გლეხის სახლნი სახელმწიფო დაწესებულებანია და მათ აქვთ ბეჭედი თავიანთი სახელწოდებით.

II. გლეხის სახლთა მოვალეობანი.

4. ზემოაღნიშნული მიზნების შესაბამისად გლეხის სახლთ ეკისრებათ:

ა) გააცნონ კოლმეურნეთ და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთ ამოცანები სოციალისტური მშენებლობისა სოფლის მეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობების, კოლექტიური მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობის შედეგები და მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებანი;

ბ) მონაწილეობა მიიღონ სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური კამპანიების ჩატარებაში (თესვის კამპანია, პურეულის დამზადება, სესხთა გავრცელება, მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე, საბჭოების არჩევნები და სხ.);

გ) გასწიონ კულტურული რევოლუციის პროპაგანდა და დახმარება გაუწიონ სოფლის პოლიტიკურ-განმანათლებელ და სასანიტარო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს (სკოლებს, ქოხ-სამკითხველოებს, წითელ კუთხეებს, ბიბლიოთეკებს, სასანიტარო მინიმუმის განმახორციელებელ ორგანიზაციებს და სხ.);

დ) გაუწიონ მომსახურეობა ქალაქებში ჩამოსულ კოლმეურნეთ და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთ და აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც აწარმოებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ მუშაობას, მიუჩინონ მათ სადგომი და კვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. გლეხის სახლთა ორგანიზაცია.

5. გლეხის სახლთ აქვთ ორი განყოფილება: ა) საადმინისტრაციო-სამეურნეო და ბ) კულტურულ-განმანათლებელი.

6. საადმინისტრაციო-სამეურნეო განყოფილება:

ა) განაგებს გლეხის სახლის (საერთო-საცხოვრებელი, აბანო, სამრეცხველო და სხვა მისთ.) ექსპლოატაციას;

ბ) აწყობს მომსვლელი გლეხების კვებას;

გ) მომსახურეობას უწევს გლეხებს სასანიტარო-სამკურნალო სფეროში;

დ) განაგებს გლეხის სახლის კუთვნილი შენობის სამეურნეო ექსპლოატაციას;

ე) ხელს უწყობს გლეხებს მათთვის საჭირო საქონლის შეძენაში და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღებაში საკოლმეურნეო ბაზრებზე და სხვა მისთ.;

ვ) მომსახურეობას უწევს გლეხის სახლს საორგანიზაციო-საადმინისტრაციო, სამეურნეო და საფინანსო სფეროში.

7. კულტურულ-განმანათლებელი განყოფილების მიზანია ყოველმხრით ხელი შეუწყოს კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, კოლმეურნეთა ფართო მასებში აგროტექნიკურ ცოდნათა შთანერგვას და კოლექტიურ მეურნეობებში შრომისა და მეურნეობის ორგანიზაციას.

ზემოაღნიშნული მიზნების შესაბამისად კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება:

ა) აწყობს ფართო კონსულტაციებს აგროტექნიკურ, ზოოტექნიკურ, ვეტერინარიის, სასოფლო მეურნეობის მექანიზაციის, შრომის ეკონომიკის, დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშგებისა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და ჰიგიენის დარგის ჯგუფებთან;

ბ) იძლევა სიტყვიერ და წერილობითს დასკვნებს იურიდიულ, კულტურულ-საგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო და სხვა საკითხებზე;

გ) აწყობს ლექციებს, კონფერენციებს და მოხსენებებს; მართავს გლეხების ექსკურსიებს ფაბრიკებსა და ქარხნებში წარმოების, შრომის პირობებისა და მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაცნობად, აგრეთვე—კოლექტიურ მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში, მუზეუმებში და სხ.;

დ) ქალაქში ჩამოსული გლეხების კულტურულ საჭიროებათათვის მომსახურეობის გასაწევად გლეხის სახლთან არსებობს მუზეუმი-გამოფენა, რადიოკვანძი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, კლუბი, სანახაობათა დარბაზი და სხ.).

8. ცენტრალური გლეხის სახლის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი. სარაიონო და საქალაქო გლეხის სახლთა სათავეში დგანან გამგენი, რომელთაც ნიშნავენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ან საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმები.

9. გლეხის სახლთა ვამგენი განმკარგულებელნი არიან იმ კრედიტებისა, რასაც გადასდებენ სახარჯთაღრიცხვო წესით, კუთვნილებისამებრ, სრულიად, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები ან საქალაქო საბჭოები, და აგრეთვე ხარჯავენ ყველა სხვა სახსარს, რასაც გლეხის სახლი მიიღებს თავის წამოწყებათა ექსპლოატაციით.

10. ცენტრალური გლეხის სახლი ახორციელებს სარაიონო და საქალაქო გლეხის სახლთა მუშაობის საერთო ხელმძღვანელობას და ინსტრუქტირებას როგორც კულტურულ-მეთოდიკური მხრით, ისე გლეხის სახლთა წლიური გეგმებისა და ანგარიშგების შედგენისა და განხილვის სფეროში (საშტატო ერთეულთა, კვარტალურ ხარჯთაღრიცხვათა და სხვა მისთ. განხილვა).

IV. გლეხის სახლის სახსარი.

11. გლეხის სახლი არსებობს სამეურნეო ანგარიშზე.

12. გლეხის სახლის სახსრის წყაროებია:

ა) საკუთარ სამეურნეო წამოწყებათა ექსპლოატაციის შემოსავალი;

ბ) ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული თანხა.

13. გლეხის სახლს უფლება აქვს გახსნას და იქონიოს სამეურნეო წამოწყებანი: საერთო საცხოვრებელი, ნივთების შესანახი კამერები, დროებითი საწყობები ბაზარზე მოტანილი სასაქონლო პროდუქციისათვის იმ ადგილებში, სადაც გლეხები თავს იყრიან; კლუბის ტიპის კინოთეატრები, საპარიკმახეროები, ბაკები საერთო-საცხოვრებლით გლეხთათვის და ოთხფეხი საქონლის სადგომით; სამჭედლო-სარემონტო, სასარაჯო, დასაკერებელი და სამკერვალო და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელოსნოები, საჩაიები, ბუფეტები და სასადილოები მაგარი სასმელების გაყიდვით საერთო საფუძვლებზე.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

70. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების მე-7 მუხლის „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტები, მე-8 მუხლის „გ“ პუნქტი და 22 მუხლის მე-2 ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-5 №-ი, მუხ. 50) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

[7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა უნდა განიხილოს:....]

„ბ) 1.000 მანეთიდან ვიდრე 25.000 მანეთამდე თანხის გამო აღძრული დავა, რომელშიაც ერთი ან ორივე მხარე საერთო-საკავშირო მნიშვნელობის დაწესებულებაა, საწარმო ან ორგანიზაცია“;

„გ) 1.000 მანეთიდან ვიდრე 25.000 მანეთამდე თანხის გამო აღძრული დავა სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის, უკეთუ მოპასუხე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმყოფება, პროდუქციის თვისების გამო აღძრულ დავათა გამოკლებით, რომელთა ქვემდებარეობაც განისაზღვრება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის სპეციალური ინსტრუქციით“.;

„დ) „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნულ მხარეთა დავა 25.000 მანეთზე არა ნაკლები თანხის შესახებ, უკეთუ ამ დავის განხილვას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს მიანდობს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი“.

[8. ადგილობრივმა სახელმწიფო არბიტრაჟმა უნდა განიხილოს:....]

„ბ) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან ან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ მისთვის განსახილველად გადაცემული დავა“.

22. (ნაწილი 2.) „უფლება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყეტილების გაუქმების შესახებ საკითხის აღძვრისა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აქვთ მხოლოდ იმ პირთ, დაწესებულებათ და ორგანიზაციათ, რომელთაც უფლება აქვთ უშუალოდ შეიტანონ სახალხო კომისართა საბჭოში წინადადებანი; ამასთანავე, ამ საკითხების აღძვრა შეიძლება მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან, ხოლო მთავარი არბიტრის მიერ, ამა დებულების 23 და 24 მუხლების წესისამებრ, საქმის გადასინჯვის შემთხვევაში—მხარეთათვის გადასინჯვის შედეგის შეტყობინების დღიდან“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ფლენტი.**

1937 წ. აპრილის 5. № 201/430.
ტფილისი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ა ნ რ ი გ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1937 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ხ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	3
3	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	5
4	ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს და ავტონომიური ოლქის საოლქო სამმართველოებს	2
5	ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.	3
6	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
7	სასოფლო საბჭოებს	1
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს	10
9	ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს და ავტონომიური ოლქის მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	საქართველოს სსრ პროკურატურას	5
12	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის პროკურატურებს.	3
13	სარაიონო პროკურორებს	1
14	სახალხო გამომძიებლებს	1

F 1951
20555

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი $\frac{\text{საქ. სსრ ხ. კ. ხ-ოს}}{\text{საქმ. მმართველობა}}$ 1937 წ. № 19. 3/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ. 1⅛ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 17/IV; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/V; ტირაჟი 1.900.

მთავლ. რწმ. № 16991 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართ. სტამბა, ტფილისი. № დაკ. 572